ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

თბილისი 28 მარტი, 2019 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის №150 საჯარო სკოლა, შემდგომში „შემსყიდველი“, დირექტორის ირაკლი მექვევრიშვილის სახით, და მეორე მხრივ, შპს„ჯიესი“ შემდგომში „მიმწოდებელი“ დირექტორის ეკატერინე ყურაშვილის სახით ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა) პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისთვის სპორტული აღჭურვილობა და ინვენტარი (cpv კოდი:37400000) შესყიდვაზე. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს ზემოაღნიშნული საქონელი 183 (ასოთხმოცდასამი) ლარად. (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები:

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კატეგორიის /ქვეკატეგორიის კოდი
1	ფეხბურთის ბურთი	ცალი	2	30	60,00	37451300
2	ბამბიგტონის ჩოგნების კომპ	ცალი	2	25	50,00	37452120
3	ბამბიგტონის ბურთი	ცალი	6	2	12,00	37452110
4	ფრიზბი	ცალი	2	8	16,00	37410000
5	კალათბურთის ბურთი	ცალი	1	45	45,00	37452200
ჯამი					**183,00**	

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. ვადები:

4.1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით.

4.2. ადგილი:

4.2.1. ქ. თბილისი, ორდე დგებუაძის ქუჩა №8.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

5.2.მიწოდებულ საქონელზე ანაზღაურება იწარმოება, დადგენილი წესით წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე; (საჭიროებისამებრ)

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მოწოდება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერით. „მიმწოდებელი“ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღეში წარუდგენს „შემსყიდველს“ მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და 5.2 პუნქტში მოცემულ დოკუმენტებს.(საჭიროებისამებრ)

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს შესყიდული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.2. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 საბანკო დღისა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული სქონლის ხარისხისა და მოცულობის კონტროლი;

9. ფორს-მაჟორი

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია ერთი თვით ადრე. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით 0,01%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

14. ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს დირექტორი: ირაკლი მექვევრიშვილი;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად (3 გვერდზე) და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის თბილისის №150 საჯარო სკოლა	შპს„ჯიესსი“ მისამართი: აღმაშენებლის გამზ. 197
ს/ს „ლიბერთი ბანკი“	ს/ს საქართველოს ბანკი
ბ/კ: LBRTGE22 ა/ა: GE25LB0121123613487000 ს/კ: 202051493	ბ/კ: BAGAGE22 ა/ა: GE08BG0000000161595100 ს/კ: 402046406
დირექტორი *ირაკლი მექვევრიშვილი*	*დირექტორი* *ეკატერინე ყრაშვილი*

მიღება-ჩაბარების
აქტი

თბილისი **„28“ „მარტი“2019წ.**

ერთის მხრივ, სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქ. თბილისის 150 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი“ დირექტორის ირაკლი მექვევრიშვილის სახით და შპს„ჯიესსი“ შემდგომში „მიმწოდებელი“ დირექტორის ეკატერინე ყურაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ „შემსყიდველმა“ მიიღო, ხოლო „მიმწოდებელმა“ ჩააბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

№	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი	კლასიფიკატორის კატეგორიის /ქვეკატეგორიის კოდი
1	ფეხბურთის ბურთი	ცალი	2	30	60,00	37451300
2	ბამბიგტონის ჩოგნების კომპ	ცალი	2	25	50,00	37452120
3	ბამბიგტონის ბურთი	ცალი	6	2	12,00	37452110
4	ფრიზბი	ცალი	2	8	16,00	37410000
5	კალათბურთის ბურთი	ცალი	1	45	45,00	37452200
ჯამი					**183,00**	

საქონელი მიიღო *საქონელი ჩააბარა*

უფლებამოსილი პირი *უფლებამოსილი პირი*

სსიპ ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის #150 საჯარო სკოლის გამარტივებული შესყიდვების მონაწილე პირების ხელწერილი

ქ. თბილისი 28 მარტი, 2019 წელი

სსიპ „ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის #150 საჯარო სკოლის“ გამარტივებულ შესყიდვაში, მიმწოდებლის გამოვლენის მიზნით ჩატარებულ ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი და ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის დირექტორი, მონაწილე ორგანიზაციასთან მიმართებაში (შპს ჯიესსი), სრულად ვაკმაყოფილებ, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლით დადგენილი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

მერაბ ზამბახიძე
სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;

ირაკლი მექვევრიშვილი
სკოლის დირექტორი;